

რომ რუღუნება შრომა-გარჯას ნიშნავს, ამ უკანასკნელ ორ მაგალითში გამოყენებული ეს სიტყვა ტავტოლოგიის ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული.

რუღუნებას ამგვარი ფართო დიაპაზონი, შესაძლოა, შეუქმნა ამ სიტყვის სპეციფიკურმა სემანტიკურმა ნიუანსმა, კერძოდ, მასში ნაეარაუდევმა არა ჩვეულებრივმა შრომამ, არამედ ისეთმა გარჯა-შრომამ, რომელიც ერთდროულად არის ხანგრძლივი, შეუწყვეტელი და შეუპოვარი, გულმოდგინე. შესაბამისად, მოქმედების ეს მახასიათებლები ცალკე იქნა გამოყოფილი მოქმედებისაგან და, შემდეგ — განზოგადებული და ამრიგად მათ დაეკისრათ (დააკისრეს!) თავად მოქმედების აღნიშვნა.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ავტორს (ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც) ეს სიტყვა სამი განსხვავებული მნიშვნელობით უხმარია: „მახარაიმ რუღუნებით [=ფრთხილად] დასვა მიწაზე გველი“ (კ. გამს.); „[ძაგანმა] ხელი მოხვია ნასმურევს რუღუნებით [=რიდით], მცირე ხანს ებაასა და შერმე თავათ ეთამაშა ნარდი [ნარდს!]“; „მის მუდარაში იმდენი სიწრფელე და მამაშვილური რუღუნება [=სასოება] ისმოდა, გაოცდა გიორგი“ (იქვე).

ამგვარი „მრავალფეროვანი“ გააზრება ფაქტობრივ ვითარებას არ შეეფერება: სიტყვა რუღუნებას ტრადიციულად ცალსახა მნიშვნელობა აქვს, — გარჯა, შრომა, — და ამ სემანტიკას არ ამოუწურავს თავისი თავი. მისი ნებისმიერი ხმარება ამ სიტყვის განვითარების ისტორიით არ არის ნაკარნახევი. მაშასადამე, მისი პოლისემიური მნიშვნელობით გამოყენებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობს. ამიტომ სიტყვა რუღუნების მოხმარების არც სათანადოდ უნდა შეიზღუდოს.

ს

საბრალდებო განაჩენი უმართებულო შესიტყვებაა და მიღებულია ორი ერთეულის: განაჩენისა (იხ.) და საბრალდებო დასკვნის კონტამინაციის შედეგად.

საპსეხიტი — სრულიად. ეს ორი ზმნისართი სინონიმური შინაარსისაა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მათ ასე განმარტავს: **სავსებით** — მთლიანად, სრულიად, სრულად, სრულებით, სულ. **სრულიად** — სულ, მთლიანად, სავსებით.

მაგრამ სალიტერატურო ენაში აშკარად იგრობომა ამ ერთგვარი შინაარსის ზმნისართთა სტილისტიკური ფუნქციების გამოყენის ტენ-

დენცია. მათი გამოყენების არც რამდენადმე განსხვავებულია იმისდა მიხედვით, დადებითი შინაარსის სიტყვას უკავშირდება ზმნისართი თუ უარყოფითისას.

თუ ზმნას ახლავს უარყოფითი ნაწილაკი არ, ვერ, უპირატესობა ეძლევა სრულიად(აც) ზმნისართს. მაგალითად: „სრულიად არ მტკივა“; „სრულიად არ ესაჭიროებ თქვენს დარიგებას“ (დ. კლდ.); „შენი მდგომარეობაც სრულიად არ არის სახარბიელო“ (ნ. ლორთქ.); „პერცხალს ქორისა სრულიად არ ეშინიან“ (ი. გოგებ.); „წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული“ (ილია); „ეს მეცადინეობა ხალხს სრულიად არ ეჭირვებოდა“ (ა. ყაზბ.); „ქორი ხო სრულიად ვერ მოგეკარებათ“ (თ. რაზიკ.).

სრულიად ზმნისართი ასევე გამოიყენება უარყოფით მიმღეობებთან და საზოგადოდ უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვებთან: მაგ.: „ჩილხო გლენჯაკია, სრულიად უსწავლელი“ (ვაჟა); „კოჭი სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია“ (აკაკი); „ღირსი კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?“ (შ. დად.). „ეგ შენი შიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძვლოა“ (დ. კლდ.); „მზედელი დამედუბა სრულიად მოულოდნელად“ (დ. კლდ.); „ჯერ კიდევ გვეყავს ისეთი ტრაქტორისტი, სრულიად უპასუხისმგებლოდ რომ ეკიდება მინდობილ საქმეს“ (კ. ლორთქ.).

სტილისტიკურად გაუმართავი გამოთქმები იქნებოდა: სავსებით უსწავლელი, სავსებით მოულოდნელი, სავსებით შეუძლებელი, სავსებით არაფერი, სავსებით უპასუხისმგებლოდ..., რადგანაც სავსებით ზმნისართის გამოყენებას სალიტერატურო ენა დადებით შინაარსებთან ამჯობინებს. მაგ.: სავსებით მართალი ხართ, სავსებით სარწმუნოა, სავსებით საქმარისია...; „სავსებით სწორად იქცევიან მეორე ობიექტის მშენებლობაზე“ („კომ.“); „სავსებით მომწიფებული ვაჟაკი იყო ვიქტორი, საბჭოთა არმიისში რომ გაიწვიეს“ (ს. თავ.)...

ამგვარად, თუმცა ფაქიზი ნიუანსების საკითხია, მაგრამ სტილის თვალსაზრისით აუცილებელია, რომ გაიმიჯნოს ამ ორი ზმნისართის (სრულიად, სავსებით) გამოყენების არც ერთი მხრივ, იქნება: სავსებით მისაღებია, მეორე მხრივ — სრულიად მიუღებელია, სავსებით დამაჯერებელია, მაგრამ: სრულიად დაუჯერებელია, სავსებით გასაგებია — სრულიად გაუგებარია, სავსებით შესაძლებელია — სრულიად შეუძლებელია, სავსებით აკმაყოფილებს — სრულიად არ აკმაყოფილებს, სავსებით სამართლიანია — სრულიად უსამართლოა, სავსებით საფუძვლიანია — სრულიად უსაფუძვლოა, სავსებით მოსალოდნელია — სრულიად მოულოდნელია, სავსებით დამაკმაყოფილებელია — სრულიად(აც) არ არის დამაკმაყოფილებელი, სავსებით ნათელია — სრუ-

ლიად არ არის ნათელი, სავსებით შესაწყნარებელია — სრულიად შეუწყნარებელია, სავსებით მომწიფებელია — სრულიად მოუმწიფებელია, სავსებით გამოსადეგია — სრულიად გამოუსადეგარია, სავსებით ეხამება — სრულიად არ ეხამება, სავსებით შეესაბამება — სრულიად არ შეესაბამება, სავსებით ცხადია — სრულიად(აც) არ არის ცხადი (ან: ბუნდოვანია) და სხვ.

ყოველივე ამის საფუძველზე სტილისტიკურად დასაბეჭდია პრესასა და მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებული შემდეგი წინადადებები: „ჩვენი კურსი აშშ-თან ურთიერთობაში სრულიად [აჯობებს: სავსებით] ნათელი და თანმიმდევრულია“ („კომ.“); „ის, რაც კომიკოსებს წინათ სუფთა ნივთიერებად მიჩნდათ, უმეტეს შემთხვევაში სავსებით [აჯობებს: სრულიად] უვარგისი აღმოჩნდა თანამედროვე ტექნიკისათვის“ („მეცნ. და ტექნ.“); „ეს წინააღმდეგობა, უცბად რომ წააწყდა, მისთვის სავსებით [აჯობებს: სრულიად] მოულოდნელი და გაუგებარი იყო“ (რ. ჯაფ.). „მტრის ამგვარი ნაბიჯი... თავის უძლეველობაში დარწმუნებულ ესპანელთათვის სავსებით [აჯობებს: სრულიად] მოულოდნელი იყო“ (რ. ჯაფ.).

სრულიად და სავსებით ზმნისართთა ასეთი განაწილება აბსოლუტური, რა თქმა უნდა, არ არის. დადებითი შინაარსის გამოთქმებთანაც შეიძლება სრულიად ზმნისართის ხმარება (თუმცა ესეც გარკვეული შეზღუდვით). მაგალითად, ისეთ ზედსართავეებთან ან არსებითებთან, რომლებიც ასაკით უმწიფარ, ზრდადაუმთავრებელ სულიერს აღნიშნავენ: სრულიად ნორჩი, სრულიად ახალგაზრდა, სრულიად ბავშვი (ეს თვისებები, შესაძლოა, აქაც ქვეცნობიერად სისრულის, სიმწიფის, უქონლობის პოზიციიდან იყოს შეფასებული). მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ ზმნისართთა გამოყენებაში შენიშნული კანონზომიერება აშკარაა და მას ანგარიში უნდა გაეწიოს — არ უნდა იხმარებოდეს სრულიად მისაღები ან სავსებით მიუღებელი.

სამსახური. ამ სიტყვით შედგენილ შესიტყვებათა ერთი ჯგუფი პარალელური — თანდებულიანი და უთანდებულო კონსტრუქციებით იხმარება: ხალხის სამსახური // ხალხისადმი სამსახური. სალიტერატურო ენაში ამ კონსტრუქციითა ადგილის შესახებ იხ. -დმი(-დამი).

სამხედრო — ნაცვლად შესიტყვებისა — სამხედრო პირი (პირნი) — ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი „ეკონომიური მეტყველების“ ნიმუშია. სალიტერატურო ენაში ამგვარ მსაზღვრელთა ხმარების შესახებ იხ. უმაღლესი.

სანაქებო; სანაქებოღ. ეს სიტყვები შესაბამისად სახელისა და ზმნის მსაზღვრელებად იხმარება. სანაქებო ზედსართაული მნიშვნელობისა, იგივეა, რაც: საქები, მოსაწონი, ჩინებული, საუცხოო: „ერთ

შშვენიერ დღეს ვააჩადეს **სანაქებო ქორწილი**“ (ნ. ლომ.); „ისეთი **სანაქებო** ეაშლი გამოდგა, რომ... ბალებიდან მოდიოდნენ და მიჰქონდათ მისი ყლორტები დასამყნობად“ (ი. გოგებ.). აქედანაა ნაწარმოები ზმნისართი **სანაქებოდ**, რომელიც ნიშნავს: ჩინებულად, საქებად; „**სანაქებოდ** ვაათავა [ფრიდონმა] უმაღლესი სასწავლებელი“ (ვ. ბარ.); „**წილ-ქმარი** კმაყოფილნი იყენენ, რომ სტუმრებს **სანაქებოდ** დაუხვდნენ“ (დ. კლდ.).

უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ამ სიტყვების არადანიშნულები-სამებრ გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, სიტყვები **სანაქებო** და **სანაქებოდ** ნახმარია იქ, სადაც შესაბამისად **სასახელო** და **სასახელოდ** უნდა ეხმარათ. მაგ.: „დიდი ზეიმი დიდ საქმეთა აბოთეოზია, **სანაქებო** გამარჯვების, მიღწევებისა და შრომითი წარმატებების ჯამი“ („კომ.“); „შ. ნიშნიანძის **სანაქებოდ** უნდა ითქვას, რომ მისი მდიდარი, რთული და მრავალფეროვანი პოეტური „მე“ ... ეძიებს და პოულობს კიდევ ადეკვატურ ფორმას გარკვეული შინაარსობრივი დედა-ძარღვისათვის“ („კომ.“).

ამგვარი შეუსაბამო ხმარება, როგორც ჩანს, გამოწვეულია აღრეული სიტყვების — **სანაქებო** — **სასახელო**, **სანაქებოდ** — **სასახელოდ** წარმოების გარეგნული მსგავსებით, მაგრამ მხოლოდ გარეგნულთ, ვინაიდან პირველი ნაწარმოებია ზმნისაგან (**აქებეს**), მეორე კი — არსებითისაგან (**სახელი**) და ამიტომ მათ ფუნქციებიც იმავეითვე განსხვავებული ჩამოუყალიბდათ.

სიტყვები **სანაქებო**, **სანაქებოდ** რომ გაფართოებული მნიშვნელობით უხმარიათ ნაცვლად სიტყვებისა **სასახელო**, **სასახელოდ**, ამას მოწმობს, კერძოდ, ასეთი მაგალითიც: საგაზეთო სტატიის ტექსტში დასტურდება შესიტყვება **არაერთი სასახელო ფურცელი**: „ამ ათი წლის წინათ შეიქმნა თბილისის მეტროპოლიტენის გაერთიანებული სახელოსნოები [სახელოსნო], რომელმაც უკვე ჩაწერა თავის ბოგრაფიაში **არაერთი სასახელო ფურცელი**“ („თბილ.“). აქცენტირებისათვის ჩაზგასმული შესიტყვება სტატიის სათაურშიც არის გამოტანილი (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ანალოგიურ შემთხვევებში), ოღონდ გამოტანილია იგი არა უცვლელად, არამედ მსაზღვრელის შენაცვლებით: „**არა ერთი სანაქებო ფურცელი**“. ეპითეტის მნიშვნელობის ასეთი ხელოვნური გაფართოება თუმცა ექსპრესიულობის გაძლიერებას ემსახურება, მაგრამ მსაზღვრელთა ამგვარი შენაცვლება, ენობრივი ტრადიციებიდან გამომდინარე, მაინც მიუღებელია. იგი უფრო ასახავს ეპითეტების გამრავალფეროვნების მიზნით გაუმართლებელი ჰიპერბოლიზაციის თანამედროვე ყურნალისტურ ტენდენციებს.

საოცრად ზმნისართის ძირითად მნიშვნელობას ემოციური ელფერიც აქვს (**საოცრად** ანუ გასაკვირველად, განსაკვიფრებლად) და განსაკუთრებით კარგად ეხამება ჰგავს ზმნას: დედა და შვილი **საოცრად** ჰგვანან ერთმანეთს; „ასლი“ **საოცრად** ჰგავდა ორიგინალს და მისთ.

უკანასკნელ ხანს სხვა ამგვარივე ემოციური შინაარსის მქონე ზმნისართების (**აუტანლად**, **საშინლად**, **სასტიკად**) მსგავსად დასახელებულმა ზმნისართმაც გაიფართოვა მოხმარების არე და შეენაცვლა ზმნისართებს **ძალიან**, **ძლიერ**, **მეტისმეტად**, **სავსებით**, **სრულიად** და მისთ. ამგვარი შენაცვლება ზოგჯერ დასაშვებია, მოსათმენია, რადგან შესიტყვევებით გადმოცემული აზრი ძალიან არ შორდება შესიტყვევების წევრთა მნიშვნელობას. მაგ.: „სკამი შევთავაზე. **საოცრად** ბავშვურად **დარცხვენილი** ჩამოჯდა, მუხლებზე დაიწყო ნაჯაფარი ხელები, მერე თავაზიანი, უშუალო, სათნო ღიმილით შემომხედა“ („კომ.“). „...ღრმულში **საოცრად** მკაფიოდ გამომეპასუხა ექო“ (რ. ინან.). „ნანასათვის ჩემპიონატის დასაწყისი **საოცრად** უიღბლო გამოდგა“ („ცისკ.“); „მისი ყოველი კადრი **საოცრად** ფერწერულია“ („კომ.“)...

მაგრამ **საოცრად** ზმნისართის ამგვარი მოხმარება ყოველთვის მოსაწონი არ არის. მაგალითად, სტილისტიკური თვალსაზრისით სწორად არ ჩაითვლება წინადადებები: „მუზეუმი ახალგაზრდა ქალმა დაგვეთვალეფრებინა, **საოცრად** [უნდა იყოს: ძალიან] **გაუხარდა**, როცა გავიგო ქართველები ვიყავით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „პოეტს **საოცრად** [უნდა იყოს: ძალიან] **უყვარს** სამშობლო, ახალი საქართველო“ (ვლ. ჯიბ.); „ჭორფლი მის დებსაც ეყარათ, მაგრამ მათ **საოცრად** [აჯობებდა: ძალიან, ან: სრულიად] **არ უხდებოდათ**“ (ს. დემურხ.); „ხანდახან ...ისე საიდუმლოდ ეტყოდა ლაშას **საოცრად** [აღბათ უნდა იყოს: სავსებით] **ჩვეულებრივ** რაღაცას, რომ ეს უკანასკნელი ბრაზდებოდა“ (რ. მიშე.)... „ლეკცია **საოცრად** [აჯობებდა: უაღრესად] **საინტერესო** იყო“ („თბილ.“)...

ამგვარი გასწორება დასახელებულ წინადადებებს მეტ ბუნებრიობას სძენს და ზოგ შემთხვევაში ათავისუფლებს ყალბი, უადგილო პათეტიკურობისაგან.

სასახელიო; სასახელიოდ. ამ სახელური წარმოების სიტყვათა უმართებულო მონაცვლეობისათვის ზმნური წარმოების სიტყვებთან იხ. **სანაქებო; სანაქებოდ.**

სასტიკი; სასტიკად. ზედსართავი სახელი **სასტიკი** და მისგან ნაწარმოები ზმნისართი **სასტიკად** ხშირად გამოიყენება ქართულში მათი ძირითადი, თანამედროვე მნიშვნელობებით: მკაცრი, ულმობელი, შეუბრალებელი; მკაცრად, ულმობლად, შეუბრალებლად, დაუნდობ-

ლად. ამ სიტყვათა მონაწილეობით შედგენილი სინტაგმების ერთ ნაწილს აუცილებლად აქვს უარყოფითი დატვირთვაც. **სასტიკი წესები, სასტიკი ბრალდება, სასტიკი ომი... სასტიკად ექცევა, სასტიკად სჯის, სასტიკად ეპყრობა** და მისთ. შესიტყვეებები აშკარად იწვევს უარყოფით ემოციას: „აი... რისთვის შეუთხზავს **სასტიკი ბრალდებები** რაიონის ხელმძღვანელობის მიმართ“ („კომ.“); „ვეტნამელმა ხალხმა დაიცვა რევოლუციის მონაბოვარი წინააღმდეგობის **სასტიკ ომში**“ („კომ.“); „...მაშიდა **სასტიკად ექცეოდა** აუადმყოფ ძმისშვილს“ („ახ. კომ.“); „გაბოროტებული ოსტატი **სასტიკად სჯიდა** შეგირდს“ („თბილ.“) და ა. შ. მაგრამ ზოგ კონტექსტში აღნიშნულ სიტყვებს აქვთ თავიანთი ძირითადი მნიშვნელობისაგან სრულიად განსხვავებული შინაარსი — **სასტიკი** ანუ ძლიერი, მეტისმეტი, მძაფრი: **სასტიკად** ანუ ძლიერ, მეტისმეტად, მძლავრად: სასტიკი ტყვილი, სასტიკი დაღლილობა, სასტიკი ცაიტნოტი... სასტიკად აწუხებს, სასტიკად გმობს, სასტიკად უარობს და მისთ.: „სწორედ ამ დროს მეტოქენი **სასტიკ ცაიტნოტში** აღმოჩნდნენ“ („ლელო“); ბაადფრი ამ პატივისცემას ყოველთვის **სასტიკად უარობდა**“ („ცისკ.“); „შური და მტრობა **სასტიკად ვნებს** საერთო საქმეს“ („კომ.“); „...ყრილობამ **სასტიკად დაგმო** შრომაზე გულაყრილი თანასოფლელები“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მისი გამოსვლა **სასტიკად ჩაახშო** რეაქციამ“ („კომ.“) და ა. შ.

მაგავს სიტყვათშეხამებებში შესუსტებულია დასახელებული ზედსართავისა და ზმნისართის (**სასტიკი — სასტიკად**) ძირითადი სემანტიკური აქცენტი, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში მათი ხმარება მაინც გამართლებულია. გაუმართლებელია ის შემთხვევები. როდესაც აღნიშნული სიტყვები მოახმარება მათი სემანტიკისათვის სრულიად მოულოდნელ და შეუფერებელ სიტყვათშეხამებებში. მაგ.: „მთელ სიმაღლეზე წამომართულიყო... **სასტიკი** [უნდა იყოს: ხშირი ან გაუვალი] **ბუჩქნარი**“ (გ. დოჩან.); „**სასტიკად** [უნდა იყოს: მეტისმეტად] **ირღვევა** ფულადი, აგრეთვე საკასო დისციპლინა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დალიმ ნამცბვარი გაციკნა, **სასტიკად** [უნდა იყოს: ძალიან, ან; მეტისმეტად] **არ მოეწონა**“ („ცისკ.“); „გულშემატკიურები **სასტიკად** [უნდა იყოს: მკაცრად] **იცავენ** წესრიგს და ბაღში მხოლოდ თავისუფალ დროს, სამსახურის შემდეგ იკრიბებიან“ („ლელო“)...

სასწავლო ნაწილი. ამ გამოთქმას ზეპირ მეტყველებაში დაკისრებული აქვს დამატებითი ფუნქცია — აღნიშნოს **სასწავლო ნაწილის** გამგე. ამგვარი მოვლენების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იხ. **უმაღლესი**.

სასწრაფო — ნაცვლად **სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა** — საზღვრულის გამოტოვების ერთი ყველაზე გავრცელებული შენიხვევაა. დაწვრილებით იხ. **უმადღესი**.

სასჯელ - სიტყვის **დანაშაულით** შენაცვლების შესახებ იხ. **დანაშაული** — **ბრალი** — **სასჯელი**.

საფუძველს დაუდებს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხშირად იხმარება თითქმის იდეატური მნიშვნელობის მქონე ფიგურალური გამოთქმები **სათავეს დაუდებს** და **საფუძველს ჩაუყრის**. მათი მნიშვნელობაა: რასმე ახალს დაიწყებს, დააარსებს, დააფუძნებს, შექმნის. მაგ.: „პატრიოტულ ლირიკას **სათავე** ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაუდო“ („ქართ. ლიტ.“); „ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩაეყარა **საფუძველი** ქართულ უნივერსიტეტს“ („კომ.“).

ამ სინონიმური გამოთქმების შერწყმა-შეჯვარების გზით შექმნილა ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვება **საფუძველი დაუდო**: „მისმა ფუნდამენტალურმა ნაშრომებმა ახლებური **საფუძველი დაუდო** [უმჯობესია: **სათავე დაუდო**] და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული კულტურის კვლევის საქმე“ („კომ.“); „მან **საფუძველი დაუდო** [უმჯობესია: **საფუძველი ჩაუყარა**] წამოწყებას“ (რად.).

საქმე. ამ სიტყვას ქართულში ათამდე მნიშვნელობა აქვს (იხ. ქველ.). ძირითად მნიშვნელობებთან ერთად (სამუშაო, ღვაწლი, ნამოქმედარი...) მას ტერმინოლოგიური მნიშვნელობაც აქვს: **სამთამადნო საქმე**, **საფეიქრო საქმე**, **პირადი საქმე**... იხმარება იგი მყარ გამოთქმებშიც: **რაშია საქმე? საქმე ის არის, რა მისი საქმეა? საქმის კაცი, საქმის დაჭერა** და მისთ.

საქმე სიტყვის ასეთი მრავალმნიშვნელობანობა და ზოგადი შინაარსი განსაზღვრავს მისი ხმარების სიხშირესაც. თანამედროვე ქართულში **საქმე** მრავალ შესიტყვებაში გვხვდება: მოსავლის აღების საქმე, სასუქების გამოყენების საქმე, რემონტის ჩატარების საქმე, თივის დამზადების საქმე, სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმე, ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმე, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საქმე და სხვ.

ამ შესიტყვებებში მსაზღვრელად ყოველთვის გვევლინება მოქმედების სახელი ნათესაობით ბრუნვაში. სემანტიკურად ასეთი შეხამების შესაძლებლობა შეუზღუდველი ჩანს, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად აუცილებელია ასეთი შეხამება. ბევრ შემთხვევაში **საქმეს** გაუაზრებლად, შტამბად იყენებენ სხვა, უფრო საჭირო სიტყვების მაგივრად. მაგ.: „საბჭოთა კინოს ოსტატთა **სასახელიო საქმეა** [უნდა იყოს: **საპატიო ვალია, მოვალეობაა**] თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესრულებაში“

(„კომ.“); „ყოველწლიურად ახალ საგმირო საქმეებს [უნდა იყოს: წარმატებებს] აღწევენ მეჩაიეები“ („მებრძ.“); „დასასრულს ერთხელ კიდევ შევნიშნავთ, რომ პირუტყვის დაწყურების(!) საქმე [უმჯობესია: საკითხი] უნდა მოგვიარდეს“ („ივრ. განთ.“); „დადგა დრო, რომ ფარიკაობის ფედერაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ფიზკულტურის ინსტიტუტში აღზრდილ მწერთნელთა განაწილების საქმეს [უმჯობესია: საკითხს] როგორც დედაქალაქში, ისე რაიონებში“ („ლელო“); „ჩანს, მთელ კახეთში განვითარებული ყოფილა რწყვის საქმე [ჯობდა: ტექნიკა]“ („საქ. ქალი“) და სხვ.

უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა საქმე ზედმეტია შესიტყვებაში: „ფეხბურთელები წვრთნის დროს დიდ ყურადღებას უთმობენ 11-მეტრიანი საჯარიმოების უკეთ შესრულების საქმეს [სწორია: შესრულებას]“ („სამშ.“); „მეტად გულისხმიერად ეკიდებიან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების საქმეს [სწორია: შესრულებას]“ („ჭიათ. მად.“); „რომელი ორგანიზაცია მოჰკიდებს ხელს რემონტის ჩატარების საქმეს [სწორია: რემონტს]?“ („ახ. ცხოვრ.“); „ეს კი მოსწავლეთა შეგნების ჩამოყალიბების საქმეს ძალიან დიდ ზიანს აყენებს [ჯობს: ჩამოყალიბებას ენებს]“ („სკ. და ცხოვრ.“) და სხვა.

სიტყვა საქმის სისტემატური ხმარების გამოა, რომ ზოგჯერ ფრაზიდან გამოდევნილია აუცილებელი, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, რომლითაც განისაზღვრება ან რომელსაც ენაცვლება საქმე. მაგ.: „სამწუხაროდ, ზოგს ჰგონია, რომ კალიგრაფია მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საქმეა [უმჯობესია: კალიგრაფიაზე მუშაობა მოსწავლეებთან, კალიგრაფიის გამომუშავება]“ („სახ. გან.“); „სენაყი ახალი საქმეა [უნდა იყოს: სენაყის დამზადება, დასენაყება] ჩვენს პირობებში“ („ივრ. განთ.“); „ქართული ენისა და მისი კილოების: ჭანურის, მეგრულისა და სენურის, მათი მეზობელი აფხაზურისა და კავკასიის სხვა ენების [აკლია: შესწავლის, კვლევის] საქმეში ნიკო მარის დამსახურება აუცილებლად დიდია“ (იბ. ვართ.), „პყიდიან ნესვივით მსხვილ, ყვითელ, მახინჯ კიტრს... ასეთივე მდგომარეობაა ჭარხლის, ნივრის, მწვანე ხახვის, თხრახუმის, რეპანისა და სხვათა საქმეში [უნდა იყოს: სხვათა გაყიდვისას, ან: გაყიდვის მხრე]“ („თბილ.“).

სიტყვა საქმ-ის გაუაზრებელი გამოყენების შედეგად ზოგჯერ მთელი კონსტრუქცია უეარგისია და წინადადება უნდა გამარტივდეს: მაგ.: „ტრაქტორების რემონტის საქმეში კარგად მუშაობენ [უნდა იყოს: ტრაქტორების გასარემონტებლად, ან: ტრაქტორებს კარგად არემონტებენ] მშრომელები“ („კომ.“); „სასუქებისა და ჰერბიციდების გამოყენების საქმეში კარგად იმუშავენ [უნდა იყოს: სასუქები და

პერბიციდები კარგად გამოიყენეს] კოლმეურნეობებში“ („ივრ. განთ.“); „**გამოზამთრების საქმეში** [უნდა იყოს: გამოზამთრების მხრივ] ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა სოფელ უხუთის კოლმეურნეობაში“ („განთ.“ — ვანი); „სატყეო მეურნეობაში აღინიშნება არსებითი ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი **ორგანიზაციის საქმეში** [აჯობებდა: თვალსაზრისით, მხრივ]“ („საქ. ბუნ.“). ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია თანამედროვე პრესის ენაში:

ძალზე ხშირია **საქმე** სიტყვის **-ში** თანდებულიანი ფორმის გამოყენების შემთხვევები რუსული в деле-ს ანალოგიურად. ფორმა **საქმეში** აგრეთვე შტამპად ქცეულა და მისი გაუცნობიერებელი ხმარება აშკარაა კონსტრუქციის მარტივი ანალიზის დროსაც. აღსანიშნავია ამ სიტყვის უმართებულო ხმარების ისეთი შემთხვევები, როცა **საქმეში** ზედმეტი, ფუჭი სიტყვაა, მაგრამ მისი ამოღების შემდეგ მისი მსაზღვრელის — მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის — თანდებულით წარმოდგენა აუცილებელი ხდება. ასეთ შემთხვევაში ისევ **-ში**, ან **-თვის** თანდებულია საჭირო, ზოგჯერ კი უთანდებულო ფორმაც გამოდგება. მაგ.: „კოლექტივმა ხელშესახებ წარმატებებს მიიღწია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების **ზრდის საქმეში** [უნდა იყოს: წარმოების ზრდის მხრივ]“ („განთ.“, ვანი); „მერჯიველ მევენახეებს დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი ვაზის **მყნობის საქმეში** [უნდა იყოს: ვაზის მყნობის დიდი გამოცდილება აქვთ]“ („ახ. ცხოვრ.“); „მკვლევარი წარმოაჩინეს უშინსკის განსაკუთრებულ დამსახურებას ფორმალური და მატერიალური განათლების თეორიების აეკარგის **გარკვევის საქმეში** [უნდა იყოს: აეკარგის გარკვევაში]“ („სკ. და ცხოვრ.“); „კვლავაც დაეხმარებიან თანასოფლელებს დოვლათის სიუხვის **შექმნის საქმეში** [უნდა იყოს: სიუხვის შექმნაში]“ („ივრ. განთ.“); „ნამყენის **შეხორცების საქმეში** [უნდა იყოს: ნამყენის შეხორცებისათვის] დიდი მნიშვნელობა აქვს სამყნობ კომპონენტთა მომწიფების ხარისხს“ („ახ. ცხოვრ.“). „მოსწავლეებმა ხელი შეუწყვეს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაებს დანაშაულის **გახსნის საქმეში** [უნდა იყოს: დანაშაულის გახსნაში]“ („ახ. ცხოვრ.“).

საერთოდ **საქმე / საქმეში** სიტყვა-შტამპებს თანამედროვე ქართული ენა თავს ვეღარ დააღწევს, მაგრამ მათი გამოყენების შეზღუდვარიც შემთხვევაში მაინც მოსახერხებელია.

შტამპად ქცეული ან ტაქტოლოგიურად ხმარებული **საქმე (საქმეში)** სიტყვის გამოტოვება--შენაცვლების საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცალკევე უნდა გადაწყდეს ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

სალი გონება. ზედსართავი სახელი **სალი** იხმარება როგორც პირდაპირი მნიშვნელობით (=ჯანმრთელი, დაუზავებელი|| გაუფუჭებელი, დაუზიანებელი; ვარგისი), ისე ფიგურალურად, გადატანითი მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორგვარ სემანტიკას გულისხმობს: 1. მთელი, უზადო, არამანკიერი, ჯანსაღი. || წრფელი, გულწრფელი და 2. სწორი, მართებული, გონივრული. ასევეა **სალ-ზედსართავისაგან ნაწარმოები ზმნისართი საღად**, რომლის გადატანითი მნიშვნელობაა: გონივრულად, ჭკვიანურად, სწორად. მაგ., **საღად მსჯელობს** = სწორად, გონივრულად მსჯელობს.

სალ- სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების ორსავე შემთხვევაში, ჩვეულებრივ, აღამიანთან, უკეთ, მის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებული კონტექსტებია საგულევებელი. ოღონდ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი **სალი** ეხაზება; გრამობისა და გონების (ან მათი ორგანოების) აღმნიშვნელ სახელებს: მაგ.: **სალი გული**, **სალი ჭკუა**, **სალი გონება...**; „**გულითა საღნი** ვიყვენით, გვეფასებოდა ერთუთი მაშინ“ (ვაჟა); „ვისაც ისეთი კაცთმოყვარული გული აქვს და **სალი ჭკუა**, ის აღამიანთა საგინებელს თავის ღღეში არას ჩაიდენს“ (ე. ნინოშ.); „...თუმცა გული უკვე მკვდარი ჰქონდა, მაგრამ ისეთ **სალ გონებაზე** იყო, როგორც მისი ცოლი და შვილი ზაფხულის იმ უკანასკნელ დილას“ („ლიტ. საქ.“).

მეორე შემთხვევაში **სალ-** მსაზღვრელის შემცველ კონტექსტს საქმე აქვს ჭკუა-გონების პროდუქტთან — აზრთან („ტვინი აზრის ორგანოს წარმოადგენს“, — ლენინი). საზღვრულიც აზრთან დაკავშირებულ და მისგან გამომდინარე მოქმედებას გულისხმობს. ამის შესაბამისად გვაქვს ასეთი სინტაგმები: **სალი** || **ჯანსაღი აზრი** (შლრ. რუს. здравый смысл), **სალი ლოგიკა**, **ჯანსაღი კრიტიკა** (ან **იუმორი**), **სალი** (ან **საღად**) **მსჯელობა...** არსებობს სათანადო ფრაზეოლოგიზმიც, კერძოდ: **საღად** || **სალი თვალთ უყურებს**. მაგ.: „...ამას გვეუბნება **სალი ლოგიკა** და ისტორიული საბუთები“ (ნ. ლორთქ.); „მეორე დილას დასვენებული სხეულით და გონებით უფრო **საღად შეხედა** გარემობას“ (შ. არაგვ.); „მაროს გულმა ყოველივე **სალი მოსაზრება** დაუფერფლა, ქარს გაატანა“ (ვ. ბარნ.); „**სალის თვალთ** ვუცქერ ცხოვრებას...“ (შ. არაგვ.); „უდიდესი როლი უნდა შეასრულოს **ჯანსაღმა** პრინციპულმა **კრიტიკამ**“ („ლიტ. და ხელოვნ.“); „...საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვოს არა უგუნურებამ, არამედ **ჯანსაღმა აზრმა** და დედამიწაზე კვლავ სიცოცხლემ იხაროს“ („თბილ.“).

ამ მეორე მნიშვნელობით საილუსტრაციოდ მოყვანილ ყველა მაგალითში **სალი** ნიშნავს სწორს, მართალს, გონივრულს. ის ფაქტი, რომ **სალ-** სიტყვას ორი გადატანითი მნიშვნელობა აქვს, რიგ შემთხვევაში

ზღვბა თავისთავად სწორი სინტაგმების ადრეული, კონტექსტისათვის შეუფერებელი ხმარების ფარული წყარო. შდრ.: „ამ უკანასკნელის, არა მარტო რაიმე მეცნიერულ საფუძველს მოკლებულმა, არამედ საერთოდ **სადი გონებისაგან შორს მდგომმა ბარბაროსულმა „სამკურნალო“ მეთოდმა შედეგად ის გამოიღო, რომ... ავადმყოფისათვის მიყენებული ტრავმა სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა“** („კომ.“).

წინადადებაში — „...**სადი გონება** გაიმარჯვებს და უსამართლო, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას გააუქმებენ“ („კომ.“) — ფრაზა **სადი გონება გაიმარჯვებს** უმართებულო გამოთქმას. კონტექსტი გულისხმობს: გაიმარჯვებს სიმართლე ანუ მართალი, სწორი აზრი (და არა გონება! ჰკუთა-გონება თავისთავად არ შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი). მაშასადამე, სათანადო კონტექსტისათვის შესაფერისი მართებული გამოთქმა იქნება: **სადი აზრი გაიმარჯვებს**.

უმართებულოდაა ნახმარი აღნიშნული შესიტყვება აქაც: „**სადი გონების საწინააღმდეგოდ**“ („თბილ.“—სათ.). ანალოგიური აზრისათვის შდრ.: „როცა **სადი აზრი** დალატობთ“ („კომ. — სათ.). ეს უკანასკნელი სწორი ვარიანტია.

საშინლად ზმნისართი, ისევე როგორც მისი ამოსავალი მიმღობის ფორმა **საშინელი**, თავისი ძირითადი მნიშვნელობის (=შიშის მომგვრელად) გარდა, განსაკუთრებული ემოციური ელფერითაც ხასიათდება. ამიტომ იგი სხვა ანალოგიურ ზმნისართებთან (**აუტანლად, სასტიკად, საწიზღრად, საოცრად** და მისთ.) ერთად განეკუთუნება ქართული ენის ლექსიკური ფონდის ე. წ. ემოციურ სიტყვებს (ნეიტრალური სიტყვების საპირისპიროდ). **საშინლად ბნელა, საშინლად ღმუის, საშინლად ღელავს ზღვა** და მისთ. გამოთქმებში ეს, შიშთან დაკავშირებული აზრობრივი ნიუანსი შედარებით ადვილად იგრძნობა. მაგრამ აღნიშნულმა ზმნისართმაც, სხვათა მსგავსად, უკვე კარგა ხანია გაიფართოვა მოხმარების სფერო და შეენაცვლა ზმნისართებს: ძალიან, ძლიერ, მეტისმეტად, უაღრესად, დიდად, უკიდურესად და მისთ.

იმ რიგის გამოთქმებს, როგორიცაა **საშინლად ცხელა, საშინლად მტკივა, საშინლად დავიღალე, საშინლად მიმძიმს** და ა. შ., რომლებშიც მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობა უარყოფითი ემოცია, დღევანდელი ქართული ასე თუ ისე ეგუება. მიუღებელია ზმნისართი **საშინლად** ნეიტრალურ ან ისეთ სიტყვებთან შესამებაში, რომლებიც, ჩვეულებრივ, დადებით ემოციებს იწვევენ. ამიტომ არ არის სტილისტიკურად გამართლებული გამოთქმები: **საშინლად ხერიოზული, საშინლად უნდა, საშინლად უყვარს** და მისთ. მაგ.: „[გოგონას] შეეძლო გადამღებადაც ეცინა და **საშინლად** [აჯობებდა: ძალზე, უაღრესად]

სერიოზულიც ყოფილიყო“ („ცისკ.“); „გიორგის საშინლად [უნდა იყოს: ძალიან] მოუნდა აბაშაში, თავის კოინდრიან ეზოში ფეხშიშველა გავლა“ („ცისკ.“); „მზიურის“ გოგონებს საშინლად [უნდა იყოს: ძალიან] უყვართ ზღვაც, გემიც და სიმღერაც“ („ახ. კომ.“).

საპე. ეს სახელი აღნიშნავს გემის, თვითმფრინავის, ავტომობილისა და მისთ. მოძრაობის სამართავ მოწყობილობას. საავტომობილო „ბუმიან“ და მასთან დაკავშირებული ინფორმაციებიც გაზრდასთან დაკავშირებით თანამედროვე სიტყვათხმარებაში **საჭე** განსაკუთრებით ხშირად გვხვდება **ავტომობილის** საზღვრულად. ამ ორი სახელის ერთმანეთთან ხშირმა მიმართებამ შესაძლებელი გახადა მთელი გამოთქმის (**ავტომობილის საჭე**) შინაარსი ოდენ საზღვრულს — **საჭეს** — დაკავშირებოდა. შდრ.: „ფხიზელი რომ მიჯდომოდა **საჭეს**, მშვიდობიანად იმგზავრებდა და არც თავს შეირცხვენდა“ („თბილ.“); „ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაიცავს ასეთი მძღოლი ქუჩაში მოძრაობის წესებს **საჭესთან** ჯდომის დროს“ („თბილ.“). ასეთი გამარტივება დასაშვები იქნებოდა, თუკი კონტექსტი ნათელს გახდიდა, რომელი სახეს ტრანსპორტის საჭეზეა საუბარი.

მაგრამ ამგვარმა გამარტივებამ ხელი შეუწყო ერთ უმართებულო ტენდენციასაც, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა თანამედროვე ქართული პრესის ენაში: შესიტყვების (**ავტომობილის საჭე**) გამარტივების შემდეგ ერთმანეთს გაუთანაბრდა **ავტომობილისა** და **საჭის**, ე. ი. მთელისა და ნაწილის მნიშვნელობები, თუმცა ამგვარ კონტექსტებში **საჭე** ყოველთვის **ავტომობილის საჭეს** არც ხიშნავს. შდრ.: „გვიან ღამით ფიროსმანის მოედანზე წესრიგის დამცველებმა მთვრალი **საჭეს** [აკლია მსაზღვრელი: მანქანის, ავტომობილის] ჩამოაცალეს და მოსალოდნელ ხიფათს აარიდეს“ („თბილ.“); „იგი მთვრალი გადმოსევს **საჭიდან** [უნდა იყოს: მანქანიდან, ავტომობილიდან]“ („თბილ.“); „მათ [ავტონისპექტორებმა] **საჭიდან** [უნდა იყოს: ტრანსპორტიდან] გადმოსვეს ტრამვაის № 1 დეპოს ვატმანი“ („თბილ.“).

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა გამოთქმა **საჭის მართვა** ნაცვლად გამოთქმისა — **მანქანის (ავტომობილის) მართვა**. მაგ.: „მძღოლისათვის ყველაზე მიუტყვებელ დანაშაულად ითვლება მთვრალია მიერ **საჭის მართვა**“ („თბილ.“); „სამწუხაროდ, ვერ კიდევ გვხვდებიან ისეთები, რომელთაც ვერა და ვერ შეუგნიათ, რომ **საჭის მართვა** დიდი პასუხისმგებლობაა“ („თბილ.“); „ნასვამი **მართავდნენ საჭეს** ბახტრიონის ქ. № 18-ში მცხოვრები... და დიღმის მებოსტნეობის შეურჩეობის თანამშრომელი...“ („თბილ.“); „მზილებული იყო პირველი მაისის რაიონის გამწვანების კახტორის აგროხომი გ. ცაგარეიშვილი, რომელიც მთვრალი **მართავდა საჭეს**“ („თბილ.“). ყველა ხაზგასმულ

შესიტყვეებაში **საჯის** ნაცვლად უნდა ყოფილიყო **მანქანა**, ავტომობილი: **მანქანის მართვა**, ავტომობილს მართავდა...

ბუნებრივი შესიტყვეებები: **საქეს** მიუჯდა და **მანქანას** მართავს. ამ გამოთქმათა კონტამინაცია (და ამით **საჯისა** და **ავტომობილის** ერთმანეთთან გაიგივება) სემანტიკურად შეუფერებელ შესიტყვეებებს იძლევა. **საჯის მართვის** საფუძველზე ჩანს შექმნილი მიმღებობის შემცველი გამოთქმაც — **საჯის მმართველი** — მძღოლის მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში საქმეს ვერ შევლის **საქე** სიტყვის **მანქანით** შეცვლაც, რადგანაც აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად ქართულში არსებობს სიტყვა **მძღოლი** და ხელოვნურად შექმნილი **საჯის (თუნდაც მანქანის) მმართველი** (გადატანით: მესაქე) უკუსავდება. იხ.: „და რაოდენ გულსატკენია, რომ ჯერ კიდევ ყველა **საჯის მმართველს** [უნდა იყოს: მძღოლს] საბოლოოდ ვერ შეუგნია ალკოპოლის სავალალო მოქმედების ძალა“ („თბილ.“).

სახლში ზშირად **შინ** ზმნისართის ფუნქციით იხმარება. იხ. ბინაში (/ბინაზე) — **სახლში** — **შინ**.

სიკეთეს გადაჭყრის. სამპირიანი ზმნა **გადაჭყრის** ნიშნავს: მოულოდნელად შეახედრებს, შეამთხვევს, დამართებს. ჩვეულებრივ, იხმარება უარყოფითი სემანტიკის მქონე განყენებულ სახელებთან: **გადაჭყრის** უბედურებას, ჭირს, ფათურაკს... (შდრ.: შეჭყრის სენს, ავადმყოფობას). მას ვერ დაუწყვილდება დადებითი შინაარსის მქონე სახელი **სიკეთე**. **სიკეთე** ფიგურალურ გამოთქმას ქმნის ზმნასთან **დააყრის** (უარყოფითი არ ნაწილაკით): **სიკეთეს** (კარგს, კეთილს) არ დააყრის. შდრ.: ხეიბს არ დააყრის, ე. ი. კეთილს, კარგს, სახეიროს არათერს უზამს. მასისადამე, გვაქვს ორი ფიგურალური გამოთქმა: **სიკეთეს (ხეიბს) არ დააყრის** და **უბედურებას გადაჭყრის**. მათი კონტამინაციის შედეგია არასწორი გამოთქმა **სიკეთეს გადაჭყრის (გადაყრით)**: „მიზრძანდით, მოთმინებით დაელოდეთ სხვას, და გვონიათ, ის სხვა **სიკეთეს გადაყრით?**“ („თბილ.“).

სინათლით ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება ნათლად ზმნისართის ნაცვლად. ანალოგიური კონსტრუქციებისათვის იხ. **გაგებით** ეკიდება.

სისწორით ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება სწორად ზმნისართის ნაცვლად. ამგვარი კონსტრუქციების შესახებ იხ. **გაგებით** ეკიდება.

სიუპრიზი (ფრანგ. surprise) ნიშნავს მოულოდნელ საჩუქარს ან სასიამოვნო ამბავს. მოულოდნელობა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ამ სიტყვის სემანტიკისათვის, ამასთანავე ზაზგასმულია დადებითი, **სასიამოვნო** ნიუანსიც. ზოგჯერ ეს სიტყვა გადატანითი — ირო-

ნიული მნიშვნელობითაც იხმარება უსიამოვნო მოულოდნელობის აღსანიშნავად. მაგ.: „შუა თამაშში გელერს უნდოდა რაიმე სიურპრიზი შეეთავაზებინა, მაგრამ ერთ მომენტში თვით ჩაფქვრდა“ („კომ.“). ირონიულობის მისანიშნებლად ზოგჯერ საჭირო ხდება ბრჭყალების გამოყენება, ეთქვით ასე: „ასეთი სვლა „უსიამოვნო სიურპრიზი“ იყო მოწინააღმდეგისათვის“ („ლელო“). მაგრამ ბრჭყალებს უმეტესწილად არ მიმართავენ, რითაც ბუნდოვანდება სიტყვა სიურპრიზის მნიშვნელობა. მაგ.: „მენიკოში კარგი სიურპრიზი დაგვახვედრეს — ფესტივალის ტექნიკურმა დირექტორმა თოთხმეტი ათასი დოლარი მოგვთხოვა ამ დეკორაციებში“ („ახ. კომ.“).

სიტყვა სიურპრიზის მსაზღვრელებად თანამედროვე ქართულში ზოგჯერ იხმარება სახელები: **სასიამოვნო** და **მოულოდნელი**. ამგვარად მიღებული შესიტყვებები ტავტოლოგიურია, ვინაიდან მეორდება აზრი, რომელიც ამ სიტყვის სემანტიკითაა ნაგულისხმევი. სიურპრიზის ამგვარი გამოყენება ასუსტებს ამ სიტყვის გამომსახველობას. ამიტომ საჭიროა ტავტოლოგიურ შესიტყვებათა გამოვლენა და მათი გამართვა შესიტყვებიდან ზედმეტი სიტყვის ამოღებით ან სიტყვების შეცვლით. მაგ.: „სოხუმელთა სასიამოვნო [ზედმეტია] სიურპრიზი“ („ლელო“); „მოსალოდნელი იყო, რომ სოხუმელი სპორტსმენები შეჯიბრებაში მაინც ვერ გამოიჩენდნენ თავს, მაგრამ მათ სასიამოვნო [ზედმეტია] სიურპრიზი შემოგვთავაზეს“ (იქვე); „ეს სრულიად მოულოდნელი [ზედმეტია] სიურპრიზი განგებას მივაწერე და იმ წუთშივე დაგვმეჩემი თავი“ („ცისკ“).

სიურპრიზ. სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობის მთლიანად დასუსტების გამო უხმარიათ მასთან მსაზღვრელებად ერთდროულად **მოულოდნელიც** და **სასიამოვნოც**, რაც ორმაგად ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის: „ჩვენთვის, ისევე როგორც კონსტანტინე გამსახურდიის აურაცხელი თავყანისმცემლისა და მოწაფისათვის, ერთობ **მოულოდნელი** [ზედმეტია], **სასიამოვნო** [ზედმეტია] **სიურპრიზი** გამოდგამწერლის დაბადების 90 წლისთავის დღეებში თბილისის ერთ-ერთ ლამაზ სვერში მისი პორტრეტ-ქანდაკების გახსნა“ („სკ. და ცხოვრ.“). თუკი მოცემულ მსაზღვრელთა შენარჩუნება აუცილებელია, მაშინ ტავტოლოგიისაგან თავის დასაღწევად საზღვრულ **სიურპრიზის** ნაცვლად უნდა ვიხმართ რომელიმე ამ სახელთაგანი: აშბავი, მოვლენა, ფაქტი...

სიუზარული. ამ სიტყვით შედგენილ შესიტყვებათა ერთი ჭკუფი პარალელური — თანდებულებანი და უთანდებულო — კონსტრუქციებით იხმარება: **სამშობლოს სიყვარული / სამშობლოსადმი სიყვარული**. სალიტერატურო ენაში ამ და ანალოგიურ კონსტრუქციათა ადგილის შესახებ იხ. -დმი (-დამი).

სიცხადით ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება ცხადად ზმნისართის ნაცელოდ. ანალოგიური კონსტრუქციებისათვის იხ. **გაგებით ეკიდება.**

სპეციალობა. ამ სიტყვისა და მისი სინონიმების (პროფესია, ხელობა) ზმნებთან სემანტიკური კავშირის შესახებ იხ. **პროფესია.**

სრული. ეს ზედსართავი სახელი თანამედროვე ქართულში მრავალი მნიშვნელობით იხმარება და სემანტიკის მხრივ ნიუანსური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთია: **განიერი, ფართო, ხალვათი, დიდი ზომისა.** ეს მნიშვნელობა აუცილებლად ვარაუდობს ჩვეულებრივთან (ნორმალურად მიჩნეულთან) მიმართებას: **სრული მარცვალი** ნიშნავს, რომ მარცვალი ნორმალურ, ჩვეულებრივად მიღებულ ზომაზე მეტია; **სრული კაცი**, ე. ი. ზომით ჩვეულებრივ მამაკაცზე მეტი (საშუალოზე მაღალი, საშუალოზე მსუქანი, საშუალოზე მსხვილი და ა. შ.); **სრული ტანისამოსი**, ე. ი. რომ უნდა იყოს, იმაზე დიდი; ვისთვისაც ტანისამოსი განკუთვნილია, იმის ზომაზე მეტი, — **ფართო, განიერი, ხალვათი.** სხვათა შორის, გამოთქმა **სრული ენობრივი ფორმაც** ვარაუდობს გარკვეულ მიმართებას, კერძოდ, რომ არსებობს არასრული — შეკუმშული ან შეკვეცილი — ენობრივი ფორმაც (შდრ.: „შენიშნულია, რომ ენაში **სრული** და **კვეცილი** ფორმები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს“ — „ლიტ. საქ.“).

მსგავსი გამოთქმები ბუნებრივად იხმარება ქართულში და აზრი ყოველთვის ნათელია. მაგრამ აღნიშნული ზედსართავების მონაცვლეობა (**სრული — განიერი, სრული — ფართო, სრული — ხალვათი** და მისთ.) ყოველთვის არ იძლევა სწორ და ბუნებრივ შესიტყვებას. არ არის, მაგალითად, გამართლებული სიტყვათშეხამება **სრული ოთახი**: „ოთახი სრული იყო და შიგნიდან სიგრილე გამოდიოდა“ („ცისკ.“); უხერხულობის საფუძველს ის ქმნის, რომ ოთახის ზომა მიმართების გარეშეა, მისთვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, სტანდარტული ზომა. ამიტომ **ოთახისათვის უფრო ბუნებრივი** შეწყვილე იქნებოდა **ფართო** ან, უბრალოდ, **დიდი.**

სრულიად ზმნისართი **სავსებით** ზმნისართის სინონიმურია. მათ შორის სტილისტიკური განსხვავების შესახებ იხ. **სავსებით — სრულიად.**

სტარტი. თანამედროვე ქართულში (განსაკუთრებით პრესის ენაში) ძალიან ხშირად გამოიყენება უცხო სიტყვა **სტარტი** (ინგლ. start), რომლის ძირითადი მნიშვნელობაა იმ ადგილისა თუ ხაზის აღნიშვნა, საიდანაც იწყება სპორტული შეჯიბრება. ეს სიტყვა ტერმინად იქცა სირბილში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში... სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტის აღსანიშნავად. შემდეგ მან, როგორც ჩანს, გაიფართოვა

მნიშვნელობა და საერთოდ შეჯიბრების დაწყების აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

თანამედროვე ქართულში სტარტ- სიტყვას დაუბრკოლებლად იყენებენ არასპორტულ თემებზე საუბრის დროსაც დასაწყისის მნიშვნელობით, თუმცა ამ მნიშვნელობისაგან გადახრაც ხშირია.

ზოგჯერ დავიწყებულია სტარტ- სიტყვის თავდაპირველი, ამოსავალი მნიშვნელობა (შეჯიბრების დაწყების ხაზი, ადგილი) და უხმარიათ ტავტოლოგიური შესიტყვება სტარტის ხაზი. მაგ.: „წელი სვლით ფრთხილად უახლოვდებოდნენ სტარტის ხაზს [უნდა იყოს: სტარტს]“ („ცისკრ. ბიბ-კა“). მაგრამ ასეთი მნიშვნელობით ეს სიტყვა იშვიათად იხმარება; შდრ.: „სტარტთან დგებიან ლენინის სახელობის რაიონის სკოლების მოსწავლე ვაჟები“ („სახ. გან.“); „სტარტზე № 1 მონაწილე — შვეიცარიელი ყურნალისტი ფრანსის ბრენშრიცი“ („კომ.“). დაწყების ადგილის მნიშვნელობაა ამოსავალი შესიტყვებისათვის სასტარტო მოედანი: „სასტარტო მოედანზე ცაში ასაპრელად გამზადებული რაკეტა გარინდულა“ („კომ.“).

სიტყვა სტარტი გამოიყენება ძირითადად შეჯიბრების (და არა მარტო შეჯიბრების) დაწყების ან დასაწყისის მნიშვნელობით ყველანაირი სპორტული შეჯიბრების მიმართ: „სტარტი ცხადყოფს, რომ მატჩში ბრძოლა უკიდურესობამდეა დაძაბული“ („სოფლ. ცხოვრ.“); „შესანიშნავი სტარტის მერე იგი ცვალებადი წარმატებით იბრძოდა“ („ლელო“); „შარშან ბედმა ისინი კვლავ შებყარა სტარტზე“ („ლელო“); „სტარტზე თბილისის „ბურვეესტნიკი“ შეხვდა ადგილობრივ „ალუმინსტროის“ („კომ.“) და სხვ.

დასაწყისის, დაწყების მნიშვნელობით სიტყვა სტარტი ფართოდ გამოიყენება სათაურებში, — ალბათ, სიმოკლისათვის: „სტარტზეა დიდი კალათბურთი“ („კომ.“); „სტარტზეა ახალი წელი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „სტარტზეა მინი“ („კომ.“); „პატარების სტარტი“ („თბილ.“), წერილი ეხება ქ. თბილისში სპორტული მოედნების მზადყოფნას ახალი სასწავლო წლისათვის); „ბედნიერ სტარტს გისურვებთ“ („ლელო“); „სტარტზეა შრომითი ზაფხული“ („თბილ.“); „ქარგი სტარტი“ („კომ.“); „ქარგი სტარტი ახალი წლის პირველივე დღეებიდან“ („კომ.“) და სხვ. მაგრამ ამავე სათაურებში ყოველთვის არ არის გასაგები სტარტ- სიტყვის გამოყენების მიზეზი თუ მიზანი: „პოლონეთის გამოფენის სტარტი“ („კომ.“) თუ არის პოლონეთის გამოფენის გახსნა, რაღას უნდა ნიშნავდეს: „ჯანმრთელობის სტარტები“ („ახ. კომ.“), წერილი ეხება ღებულებას მშთ-ს კომპლექსის მესამე საკავშირო ჩემპიონატის შესახებ).

თანამედროვე ქართულში საკმაოდ ხშირია სიტყვა **სტარტის** გამოყენების ისეთი შემთხვევები, როცა მისი სემანტიკა ძალიან დაშორებულია სპორტულ თემატიკას. ეს კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული სათაურებიდანაც. სხვა მაგალითები: „დიდი **სტარტისათვის** მზად არიან მექანიზატორებიც“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კოლმეურნეობას ჰყავს მოწინავე მესიმინდეები, შრომის ქურაში გამოზარსმედილი და საქმის მოყვარული გლეხკაცები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე იღებენ შრომითს **სტარტს**“ („კომ.“); „მაგრამ სავაზაფხულო **სტარტისათვის** მარტოოდენ ეს როდია საკმარისი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მექანიზატორები გულმართალნი მოვიდნენ **სტარტში**“ („გამარჯვ.“).

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა **სტარტს** აღარაფეთარი კავშირი არ უჩანს თავის ძირითად მნიშვნელობასთან და გამოიყენება თვით **შეჯიბრების** სინონიმად: „წლევიანდელ **სტარტზე** 8 ქალი და 17 ვაჟი გამოვიდა“ („ახ. კომ.“); „ორი კვირის განმავლობაში ტროლის დედაქალაქი ინსბრუკი და მისი შემოგარენი თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს **სტარტებს** — ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდა“ („ახ. კომ.“); „VIII სპარტაკიადის **სტარტებში** საქართველოს ღირსებას უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენები იცავდნენ“ („თბილ.“); „საქართველოს მოცურავეების **მორიგი სტარტი** იქნება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართული ზონალური **ტურნირი**“ („ლელო“); „...როგორ არიან მომზადებული ჩვენი სპორტსმენები **დიდი სტარტებისათვის** — საქართველოსა და სსრ კავშირის წახლთა V სპარტაკიადებისათვის“ („ლელო“); „ახლა ფოთელი ნიხოსნები ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობით ინტენსიურად ემზადებიან **წლევიანდელი სტარტებისათვის**... ზამთარშიც სრულყოფენ ტექნიკას, რათა **ნაადრევ სტარტებს** მომზადებული შეეგებონ“ („ლელო“); „იანვრის **სტარტები** წარმატებით აღნიშნეს რესპუბლიკის სპორტსმენებმა“ („კომ.“).

სტარტის ძირითადი მნიშვნელობის უგულებელყოფა და **შეჯიბრების** სინონიმად ხმარება გამხდარა მიზეზი ურთიერთგამომრიცხველი სემანტიკის სიტყვების დაკავშირებისა: **უკანასკნელი სტარტი**, **ვადაშვევტი სტარტი** და მისთ. მაგ.: „გაზაფხულის მზე მოთბილამურეებს აიძულებს თავშესაფარი პოლარული წრის მიღმა ეძიონ. წლევიანდელი ზამთრის **უკანასკნელი სტარტები** [უნდა იყოს: შეჯიბრებები] სწორედ იქ ჩატარდება“ („ლელო“); „დღეს ბაკურიანის XXIII საერთაშორისო შეჯიბრება მონაწილეებს **უკანასკნელი სტარტი** აქვთ — რბოლა სამ კილომეტრზე“ („კომ.“). „მათ იმედი აქვთ, რომ მწვანე კონტინენ-

ტის მოცურავეები... **გადამწყვეტ სტარტებამდე** [უნდა იყოს: შეჯიბრებებამდე] შედეგებს კიდევ უფრო გაზრდიან“ („ლელო“).

სიტყვა **სტარტის** მნიშვნელობის ასეთი დამახინჯების შედეგია მისი გამოყენება ტავტოლოგიურ შესიტყვებებშიც — **პირველი სტარტი, დაწყების სტარტი**: „ეს შეჯიბრება სეზონის პირველი სტარტია [უნდა იყოს: პირველი შეჯიბრებაა]“ („ლელო“); „ხვალ პირველ-სტარტებია [უნდა იყოს: პირველი შეჯიბრებებია]“ („ლელო“, სათ.); „იგი [ზეიმი] დაიწყო შულავრის მატყლის პირველადი გადაქმელების ფაბრიკაში. ეს ადგილი ზეიმის დაწყების სტარტად [უნდა იყოს: დაწყების ადგილად] შემთხვევით როდის აირჩიეს“ („კომ.“).

სტარტ- სიტყვის მნიშვნელობის ამგვარი გაფართოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსათვის გაუმართლებელია. **სტარტის** გადატანითი მნიშვნელობით ხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად, როცა შენარჩუნებულია კავშირი ტრადიციულ გამოყენებასთან, ძირითად მნიშვნელობასთან (სპორტული შეჯიბრებების დაწყება ან დასაწყისი), ხოლო, როცა ივარაუდება რაიმე საზოგადოებრივი პროცესის, მოძრაობის, განვითარების დასაწყისი, მაშინ შეიძლება უარი ითქვას მის გამოყენებაზე. მაგ.: „**სტარტზე** [უნდა იყოს: შეიქმნა] ახალი რაიონი“ („თბილ.“).

სიტყვა **სტარტი** თანამედროვე ქართულში დამკვიდრდა კალკირებულ მყარ შესიტყვებებში: **სტარტი აიღო** (<взял старт), **სტარტი მიეცა** (<дан старт). ამ გამოთქმებში შენარჩუნებულია კავშირი ძირითად მნიშვნელობასთან. ორივე ნიშნავს: დაიწყო-ს, ოღონდ ერთია მოქმედებითი გვარის ზმნის შემცველი შესიტყვება, მეორე კი ვნებითი გვარისა. ეს შესიტყვებები ძირითადად სპორტულ ინფორმაციებში გვხვდება: „**სტარტი აიღო** ჩემპიონატმა“ (ფეხბურთში, ძალოს-ნობაში), **სტარტი აიღო**, ასპარეზობამ (ფიგურისკთა...), საქადრაკო ოლიმპიადამ, წყალბურთელთა ტურნირმა, ფრენბურთელ ვეფთა პირველობამ, შეჯიბრებამ და სხვ. ასეთ შემთხვევებში ივარაუდება, რომ ჩემპიონატი, ასპარეზობა, ოლიმპიადა თუ შეჯიბრება (სპორტის სხვადასხვა სახეობებში) დაიწყო. ინმარება ასეც: ახალმა წელმა **სტარტი აიღო** [უნდა იყოს: ახალი წელი დაიწყო]; „პატარა ჩაილურის კოლმეურნეობის ფერმის მწველავებმა... სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე **კარგი სტარტი აიღეს** [უნდა იყოს: სამეურნეო წელი კარგად დაიწყეს]“ („იერ. განთ.“) და მისთ.

აღნიშნული შესიტყვებების გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას შეიძლება ვეღარ შევებროლოთ, მით უმეტეს, რომ **სტარტის** ძირითადი მნიშვნელობა შენარჩუნებულია, მაგრამ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შესიტყვებებში **სტარტის** მსაზღვრელებად **კარგის, ცუდის**

ჩინებულისა და მისთ. ხმარება გაუმართლებელია: „**კარგი სტარტი** აიღეს ჩვენმა მწველავებმა“ („სოფლ. ცხოვრ.“); **კარგი სტარტი** აიღეს... რაიონული სამმართველოების კოლექტივებმა“ („ახ. კომ.“); „**კარგი სტარტი** აიღო მიმდინარე ხუთწლეულში საგარეჯოს საბურთავეების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა“ („ივრ. განთ.“); „**ცუდი სტარტი** აიღეს მწველავებმა, იანვარში შეამცირეს რძის მიღება“ („ივრ. განთ.“); უკრაინელებმა გ. პოლიშჩუკმა, ი. გერასიმენკომ და თბილისელმა თ. მეგრელიშვილმა **ჩინებული სტარტი** აიღეს“ („ლელო“); „**ცუდი საგამოცდო სტარტი** აიღეს მომავალმა ფილოლოგებმა“ („სახ. გან.“). სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დასაშვებია მხოლოდ **სტარტის კარგად** (ჩინებულად, ცუდად...) **აღება** ასეთი მნიშვნელობით: **კარგად, ჩინებულად, ცუდად... დაიწყო**. „**წარმატებით აიღეს სტარტი** ქართველმა მოჭიდავეებმა“ („ახ. კომ.“) ნიშნავს: წარმატებით დაიწყეს, საერთოდ კი შეუწყნარებელია ამ შესიტყვების გამოყენებით მეტამეტი გატაცება: „**აღლობამ სტარტი** აიღო ჩვენს რესპუბლიკაშიც“ („ივრ. განთ.“); „**საარჩევნო კამპანიამ სტარტი** აიღო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**პრაედესპრიზებმა სტარტი** აიღო“ („ლელო“—სათ.); „**უკანასკნელ სარებუტიციო სტარტებს** იღებენ სპორტსმენები ინსბრუკის თეთრი ოლიმპიადის წინ დასავლეთ გერმანიის ქალაქ ინცელსა და შვეიცარიის კურორტ დიკოსის ყინულის ბილიკებზე“ („კომ.“) და მისთ.

ანალოგიურია შესიტყვება **სტარტი მიეცა**: „**სტარტი მიეცა** საბჭოეთის საიუბილეო წლის [ნიშნავს: დაწყების ნიშანი მიეცა, დაიწყო] პირველ პილოტირებულ ფრენას“ („კომ.“); „**სტარტი მიცემულია**“ („კომ.“—სათ.: სოიუზ 24-ის გაფრენის გამო). ამ შესიტყვების ტრაფარეტული ხმარების გამო უხერხულობა რომ უგრძნიათ და უცდიათ შტამპისთვის თავის არიდება, ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან: „**XIX საჭადრაკო ოლიმპიადა გზას დაადგა**“ („ლელო“); „**ბიბლიოთეკის მუშაკების ინიციატივით დასაწყისი მიეცა** ნურეკის ავტოგრაფების ბიბლიოთეკას“ („სოფლ. ცხოვრ.“). მაგრამ სასურველ შედეგს არც ამგვარი თარგმნა იძლევა: „**გაეროვნულდება**“ ფაქტობრივად მოჩვენებითია, რამდენადაც ზუსტი კალკირების შედეგად ერთი სახის შტამპისევ ანალი შტამპი ცვლის. ამიტომ რეკომენდებულია ამგვარი გამოთქმა-შტამპების ფართო გამოყენების შეზღუდვა და მათ ნაცვლად (ზოგ შემთხვევაში მაინც) ეკვივალენტური ცალი ზმნის (**დაიწყო**) ხმარება, განსაკუთრებით, არასპორტულ თემებზე საუბრისას.

სულს ძლივს დაწვავს. ქართულ სასაუბრო თუ სალიტერატურო ენაში ხშირად იხმარება ორი შესიტყვება: **სულს დაწვავს** და **სულს ძლივს ითქვამს**.

სულს ძლივს ითქვამს ნიშნავს; სულს ძლივს იბრუნებს, ძლივს სუნთქავს, გაჭირვებით სუნთქავს, სუნთქვა უჭირს (დაღლილობის, სიცილის, ავადმყოფობის... გამო). მაგ.: „ბააკა... შედგა, მეტი ილაჯი აღარ შესწევს, **სულს ძლივს ითქვამს**“ (რ. გვეტ.); „ბებია ძლივს ითქვამდა **სულს** შიშისა და უხერხულობისაგან“ („ცისკ.“); „გოშიი... ხტუნვა-თამაშისას ქოშინობდა და **სულს ძლივს ითქვამდა**“ („ცისკ.“).

სულს ლაფავს ნიშნავს: სიკვდილის პირასაა, სადაცაა სულს დაღვეს, ძლივსლა სუნთქავს, კვდება. მაგ.: „ავადმყოფი **სულს ლაფავდა**“ („ცისკ.“); „შენი თევზებიც **სულს ლაფავენ**“ (გ. დოჩან.); „**სულს ლაფავდა** ღობემძერალა, როცა მისთან გაჩნდა ყვავი“ („სოფლ. ცხ.“); „ალბათ ქვესკნელში **ლაფავს სულს**“ („ცისკ.“)...

ძლივს ზმნისართის ჩართვა ამ გამონათქვამში (**სულს ძლივს ლაფავს**) უადგილოა, შეუთავსებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია: ძლივს კვდება, ძლივს სული ამოსდის, სადაცაა ძლივს სულს დაღვეს. ზოგჯერ კი სალიტერატურო ენაში უხშირიათ ეს შესიტყვება. მაგ.: „იგი **სულს ძლივს ლაფავდა**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უბედური გენერალი ციებ-ციხელებისაგან **სულს ძლივს ლაფავდა** და ჯანმრთელობის აღადგენად ხელმწიფეს ორი წლის შვებულებას სთხოვდა“ (ნ. ბერძ.).

ასე აგებული გამოთქმა გადატანითი მნიშვნელობითაც არის ზოგჯერ ნახმარი: „ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს **ლაფავდა სულს**“ (დ. კლდ.). აქ **სულს ლაფავდა (ძლივს)** ნიშნავს: ძლივსლა არსებობდა, დიდ გაჭირვებაში იყო, ხალხი უჭირდა.

ყველა ამ წინადადებაში ზედმეტია **ძლივს**. მყარი გამონათქვამი **სულს ლაფავს** ამ ზმნისართის გარეშე უნდა იხმარებოდეს.

სუფევს ზმნა გვხვდება მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში. იგი ძველი სიტყვაა და ნიშნავს: მეფობს, ბატონობს, ცხოვრობს, ბრძანდება; აქედანვეა მისი ღღეს არსებული გადატანითი მნიშვნელობაც: არის, დამკვიდრებულია, გაერცელებულია, გაბატონებულია, გამეფებულია... მაგრამ აღნიშნული მნიშვნელობითაც ზმნა **სუფევს** ბუნებრივ სინტაგმებს მხოლოდ გარკვეული ჯგუფის განაგებულ სახელებთან ქმნის, როგორცაა: სიჩუმე, სიწყნარე, სიმშვიდე, სისუფთავე, მყუდროება, სათნოება და სხვ. და ეს, ალბათ, იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ **სუფავა** ბევრად, ჩვეულებრივ, უფლის ყოფნა ნიშნავდა. მაგ.: „ფიჭვნარში... კარვების ირგვლივ **სიჩუმე სუფევს**“ (ს. თაყ.); „ამ მიდამოში ისეთი **სიწყნარე სუფავდა**, რომ შეუძლებელი იყო არ მოხიბლულიყავით“ („ცისკ.“); „აქ საოცარი **სიმშვიდე... სუფავდა**“ („ლიტ. საქ.“); „ირგვლივ იდეალური **სისუფთავე სუფავდა**“ („გა-

მარჯვ. დროში“); „როცა მშენებლობის დასაწყისში იქაურობას ვეწვიეთ, ირგვლივ... მყუდროება სუფევდა“ („თბილ.“); „ყოველმხრივ ხათილება სუფევს ჩვენ შორის“ (ო. ჩხ.)...

ამიტომ სტილისტიკურად არ არის გამართლებული ამ ზმნის განუორიველად ხმარება სხვა, არა ამ რიგის (ჩვეულებრივ, ხმაურისა და არეულობის აღმნიშვნელ) სახელებთან და იგი სასურველია შეიცვალოს სიტყვათხმარების თვალსაზრისით უფრო შესაფერისი ზმნებით. მაგალითები: „ქარხნის საამწყობო საამქროში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა [უმჯობესია: გამოცოცხლება იგრძნობოდა]“ („საქ. სახ. მეურნ.“); „ხალისი, მხიარულება და აღფრთოვანება სუფევდა 12 მარტს მთელა ჩვენს ქვეყანაში [უმჯობესია: აღფრთოვანება იგრძნობოდა]“ („ახ. კომ.“); „სრული ქაოსი სუფევდა [უმჯობესია: იყო] თბილისის ნაწვეარდაცვის რგოლში“ („ლელა“); „მეცნიერებაში სრული ქაოსი და სასოწარკვეთა სუფევდა [უმჯობესია: იყო, იგრძნობოდა...]“ (გ. ქარჩხ.); „დღეს, შეიძლება ითქვას, რომანის ბუმი სუფევს [უმჯობესია: რომანის ბუმი...]“ („ლიტ. საქ.“); „შედეგს მაინც ვერ მოვალწიეთ და უწყებრივი არეულობა სუფევსო [უმჯობესია: არეულობა არისო]“ (კომ.“); „ხშირად სრულიად ერთმანეთის ააწინააღმდეგო შეხედულებანი სუფევს [უმჯობესია: შეხედულებებია გაერცვლებული, დამკვიდრებული...] შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში“ („ლიტ. საქ.“); „კვლავაც რომ სუფევდეს [უმჯობესია: იყოს...] სიჩაუქე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...ჩვენს სასაფლაოებზე კიჩი — უგემოვნების ზეიმი სუფევს [უმჯობესია: ზეიმი]“ („თბილ.“)...

სწავლა — განათლება. ეს ორი სიტყვა მოქმედების აღმნიშვნელი სახელებია და ერთმანეთს სინონიმურად უკავშირდება; თითქმის ერთნაირადაც განიზარტება: **სწავლა** — განათლება, ცოდნა; ცოდნის შეძენა, განათლების მიღება; **განათლება** — სწავლა, ცოდნა; ცოდნის მიღება: „ცოდნა და **სწავლა** შეიძლება კაცს აუარებელი ჭკონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წარდგას“ (ილია); „შრომა, **სწავლა**, წიგნის კითხვა რატომ უნდა დაგეზაროს!“ (ლ. ასათ.); „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ **განათლების** უფლება“ („სსრკ კონსტ.“).

შინაარსობრივი სიახლოვის გამო სიტყვები **სწავლა** და **განათლება** კონტექსტში ხშირად ერთმანეთის გვერდით იხმარება, მეტიც, თხზულ სახელსაც ქმნიან. მაგ.: „შენი ერი ახლა **სწავლა-განათლება**ს ძალიან ეტანება“ (შ. არაგვი); „მე მეგონა **სწავლა-განათლება** ძველს ადათს შეუცვლიდა, ხასიათს დაუმშვიდებდა [ჩემს დისწულს]“ (ნ. ლორთქ.); „...სსრ კავშირში შეუძლიათ მშრომელებს ნამდვილად ისწავლონ და **განათლება** მიიღონ“ („საბჭ. კავშ. ისტ.“); „ისწავლიან, **განათლებიან** და თქვენ ძალიან წინ წახეალთ“ (გ. წერეთ.).

მაგრამ სინონიმურობა, ცხადია, სრულ იდენტურობას როდი ნიშნავს, და ეს განსაკუთრებით მათს სიტყვათმარებას ეხება. სწავლა და განათლება მონაწილეობას იღებს რამდენიმე მყარი შესიტყვებისა და რთული სიტყვის შექმნაში: სწავლის დამთავრება, სწავლადამთავრებული, სწავლის გაგრძელება, ბეჯითი (მუყაითი) სწავლა, ფრიაღზე სწავლა... განათლების მიღება, უმაღლესი განათლება, ფართო (მრავალმხრივი) განათლება, სახალხო განათლება, იურიდიული განათლება და ა. შ.: „...ის უფლებები მინიჭებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში სწავლადამთავრებულ პირებს“ („კომ.“); „სწავლადამთავრებული“ გამომგონებული“ ირწმუნებოდა, რომ მისი დანადგარი ერთბაშად განსაზღვრავს — ადამიანი მართალს ლაპარაკობს თუ ტყუისო“ („ახ. კომ.“); „არ შეიძლება 'მკითხველი' არ განცვიფრდეს ავტორის უმაგალითო შრომისუნარიანობით, ფართო და მრავალმხრივი განათლებით“ (ა. გაწერ.).

მოყვანილ მაგალითებში, მიუხედავად შინაარსობრივი სიახლოვისა, თითოეული ეს სიტყვა გარკვეული სემანტიკური ნიუანსებით ხასიათდება და, შესაბამისად, აქვს გამოყენების საკუთარი სფეროც. ამიტომ მათი ნებისმიერი ურთიერთჩანაცვლება ხშირად ვერც ხერხდება და არც არის სასურველი. ამ სიტყვათა სემანტიკური ნიუანსების გაუთვალისწინებლობა და მყარი შესიტყვებებისათვის ანგარიშის გაუწევლობა წარმოშობს ბუნებრივი ქართულისათვის შეუფერებელ სიტყვათშეხამებებს: „მთელი ოჯახი აბირებს განაგრძოს განათლება [უნდა იყოს: სწავლა]“ („განაგრძ. დროშა“); „ის კი კარგად მახსოვს, ჩემი მუსიკალური განათლება როგორ დამთავრდა [უნდა იყოს: მუსიკაში მეკადინეობა, ან: მუსიკის სწავლა]“ („ცისკ.“); „დედნაცვალი დამნაშავე იყო იმაში, რომ დიმიტრის სწავლა [უნდა იყოს: განათლება] არ მიეღო“ (ს. კლდ.); „კონსტრუქტორებად მუშაობენ თბილისში სწავლა-მიღებული [უნდა იყოს: სწავლადამთავრებული] ახალგაზრდები [უმჯობესია: ახალგაზრდები, რომლებმაც თბილისში მიიღეს განათლება]“ („კომ.“).

აღრვეის საფუძველი ჩანს სინონიმურ სიტყვათა დიდი სიახლოვე და, განსაკუთრებით, კომპოზიტ სწავლა-განათლების არსებობა, რომელიც თანაბრად მოიცავს მისი შემადგენელი სიტყვების სემანტიკურ ნიუანსებს.

მწვედველობაშია მისაღები ამ სიტყვათა მნიშვნელობების ცვალებადობაც: ამჟამად სწავლა და განათლება აღნიშნულ შესიტყვებებში ჩაუნაცვლებელი სიტყვებია. ამის ერთი მიზეზი ასიც არის, რომ მათ დროთა განმავლობაში ახალი ტერმინოლოგიური მნიშვნელობები განივითარეს, რამაც ხელი შეუწყო სინონიმთა დიფერენცირებას. შდრ.:

სწავლის ქირა, სასწავლო ნაწილი... და: უმაღლესი (საშუალო, დაწყებ-
ბითი) განათლება... რამდენიმე ათეული წლის წინათ კი განათლებას
დღევანდელი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა
და ამ ფუნქციით სიტყვა სწავლა გამოიყენებოდა: „დღდათა სქესმა...
უკვე დანიტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა“ (ილია); „სოლომონს
რუსეთში დაესრულებინა უმაღლესი სწავლა“ (მ. ჯავახ.).

განოთქმა უმაღლესი სწავლა, რომლის ხმარებასაც გარკვეული
ტრადიცია აქვს, ინერციით ზოგჯერ დღევანდელ მეტყველებაშიც
გამოიყენება: „დღეს სოფელი არაა, რომ უმაღლესი სწავლით [უნდა
იყოს: განათლებით] რამდენიმე არ იყოს“ („საბჭ. სამართ.“).

კიდევ უფრო ხშირია სამსიტყვიანი შეხამება — უმაღლეს სწავ-
ლა დამთავრებული (რომელიც, სხვათა შორის, როგორც ერთცნები-
ანი სიტყვა, გაუთიშავად უნდა დაეწერათ): „...სასამართლოში იყო ათე-
ული მოწმე, ადგილობრივ მომუშავე უმაღლეს სწავლა დამთავრებუ-
ლი“ („საბჭ. სამართ.“); „ვიცი ქვემო სვანეთში ასკომლიანი სოფელი,
სადაც ასზე მეტი უმაღლეს სწავლა დამთავრებულია“ („საბჭ. სა-
მართ.“). ეს შეხამება წარმოადგენს ორი გამოთქმის შენაერთს, კონ-
ტამინაციას. ერთია — ჯერ კიდევ შემორჩენილი უმაღლესი სწავლა,
მეორე — სწავლადამთავრებული, გამორიცხული არ არის ქვეცნო-
ბიერი კავშირი სხვა შესიტყვებასთანაც, რომელშიც ისევ სწავლა ფუ-
ძეა გამოყენებული — უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება.

ზემომოყვანილ ილუსტრაციებში უმაღლეს სწავლა დამთავრებუ-
ლის ნაცვლად უნდა ეხმარათ: უმაღლესი განათლების მქონე (პირი),
ან: უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული.

სწორად — სწორად. ეს ზმნისართები სათანადო ზედსართავი სა-
ხელების (სწორი — სწორე) ვითარებითი ბრუნვის ფორმებია... საბას
განმარტებით, სწორი ნიშნავს მისთანას, სწორე — არამრუდს, ძქელ-ის
მიხედვით სწორი — თანასწორი, ტოლი, წყვილი; სწორად — თანა-
სწორად, თანაბრად, მსგავსად.

ახალ სალიტერატურო ქართულში სწორად ზმნისართი რამდენი-
მე მნიშვნელობით გამოიყენება: 1. პირდაპირ, გაუმრუდებლად, მი-
ხვევ-მოხვევის გარეშე; 2. სინამდვილის შესაბამისად, — ნამდვილად,
ქეშმარიტად, მართებულად; 3. თანასწორად, თანატოლად, თანაბრად:
„რათ გაუგონე ბატონსა ლეთისა საწყენი სიტყვები! იქ მოხვალთ
სწორად, სადაცა არც ბატონია, არც ყმები“ (აკაკი); „ხომ შეიძლება
იჯდე პირიქით და მიინც სწორად ილაპარაკო“ (ა. მაშაშვი.); „ერთ
ქვევრს სასწორი სწორად არ ეხურა“ (ს. შანშ.); „მოასულტებული
გზა შევია, სწორად წაღებული“ (რ. ინან). „ვახტანგ პეტროვიჩი...
ცხოვრებაში ჩახედული კაცია და ამიტომაც ხაზი სწორად უჭირავს“

(გ. ციცი): „თმაც ხევსურულად **სწორად** აქვს წაპრილი“ (რ. ინან.) და სხვ.

რაც შეეხება ზმნისართს **სწორედ**, ახალ და თანამედროვე ქართულში მან ერთგვარი დამხმარე სიტყვის ფუნქცია მიიღო — იხმარება მაშინ, როდესაც უნდათ წინადადების რომელიმე წევრის ან მთელი გამოთქმის გახაზვა, გამოყოფა — ეს და არა სხვა, ნამდვილად, მართლაც, ზუსტად. მაგალითად: „მე, **სწორედ**, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“ (ილია); „მე კი არა, **სწორედ** შენო — ეწეწდით ერთი-მეორესა“ (აკაკი); „ზოგი თევის დასაჭერად შობოდა, ზოგსაც **სწორედ** იმ დროს უნდოდა ფიჩხი“ (მ. ჯავახ.); „მე **სწორედ** ის ვარ, ვისაც მოელის მოუთმენელად ტანჯული ერი“ (ქ. მაც.) და ა. შ.

ამ ორი, საერთო წარმომავლობისა და მსგავსი ჯღერადობის მქონე ზმნისართის გამოყენებისას ახალ ქართულში ხშირად გვხვდება აღრევის შემთხვევები. კერძოდ:

ა) უნდა იყოს **სწორედ** და გვაქვს **სწორად**: „ჩვენს ბრძანებაზე ათასნი, ათი-ათასნი დადიან, რასაც ჩვენ ვიტყვით, ისინიც **სწორად** იმასა სჩადიან“ (ვაჟა); „იმედამ... როგორაც უთხრა, ჯავარა **სწორად** იმგვარად მოიქცა“ (ბაჩანა) და სხვ.

ბ) გაცილებით ხშირია პირუტყვ აღრევის შემთხვევები, როცა უნდა იყოს **სწორად** და გვაქვს **სწორედ**: „ჩონჩხის ძვლები რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერ შესძლებდა... **სწორედ** დგომასა“ (ი. ვოგბა); „ფიქრია ჯერ **სწორედ** იჯდა, მერმე ხელებზე დაებჯინა“ (მ. ჯავახ.); „საკმარისია კაცს შეგხედო, რომ **სწორედ** გითხრა რა ნივთიერებისგან შეწყებებული გახლავს იგი“ (ქ. მაც.); „ახალგაზრდა მსახიობმა გვიჩვენა... სახის **სწორედ** გააზრების უნარი“ („ლიტ. საქ.“); „ამირანმა **სწორედ** ააგო ბრძოლის ტაქტიკა“ („კომ.“); „**სწორედ** მიგვაჩნია სხვადასხვა... სასწავლებლის ნაცვლად დაწესდეს ერთი ტიპი — საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი“ („თბილ.“)...

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამგვარი აღრევა **სწორად** და **სწორედ** ზმნისართებისა დაუშვებელია. თითოეულ მათგანს მკაცრად აქვს გამოკვეთილი მოხმარების სფერო.

ბ

ტემაზი ლათინური ენიდან მომდინარე სიტყვაა, ქართულში აღნიშნავს რაიმე მოვლენის მიმდინარეობის სისწრაფეს, რისაზე განხორციელების სისწრაფეს. **ტემაზი** შეიძლება იყოს ჩქარი, სწრაფი, ნელი, ზომიერი. ამ მსახდგრელებით განსაზღვრული ეს არსებითი სახელი ხშირად გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო (განსაკუთრებით